

არჩევნების შემდგომი შუალედური ანგარიში 6-18 იანვარი, 2008 წელი

6 იანვარს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ, რომელშიც შედიოდნენ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR), ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა და ევროპარლამენტი, გამოაქვეყნა ერთობლივი მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ პროცესი „არსებითად შეესაბამებოდა ეუთოსა და ევროსაბჭოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებსა და დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებს, [მაგრამ] გამოვლინდა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა გადაჭრა სასწრაფოდ უნდა მოხდეს“. მოხსენებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ არჩევნების საბოლოო შეფასება ნაწილობრივ დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა საარჩევნო პროცესის დანარჩენი ეტაპები, ხმების დათვლა, საბოლოო შედეგების გამოცხადება და არჩევნების ჩატარების შემდეგ შემოსული საჩივრებისა და გასაჩივრებული საქმეების განხილვა.

მოცემული შუალედური ანგარიშის წაკითხვა უნდა მოხდეს წინასწარჩევნო შუალედურ ანგარიშებთან და წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ გამოქვეყნებულ მოხსენებასთან ერთად. რამდენიმე კვირაში OSCE/ODIHR-ი სრულ საბოლოო ანგარიშსა და რეკომენდაციებს გამოაქვეყნებს.

მოკლე შინაარსი

- 13 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) გამოაცხადა, რომ არჩევნების პირველ ტურში გაიმარჯვა მიხეილ სააკაშვილმა ხმების 53,5 პროცენტით;
- არჩევნების შემდეგ პოლიტიკური გარემო კვლავ პოლარიზებული იყო. ოპოზიციური პარტიები დარღვევებისა და გაყალბების მასშტაბებზე საუბრობდნენ, გამოაშკარავებული გაყალბებული შედეგების გაუქმებასა და მეორე ტურის ჩატარებას მოითხოვდნენ;
- OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ ხმების დათვლის პროცესში მრავალი პრობლემა დააფიქსირა. მაგალითად, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მოწოდებულ ოქმებში არსებული განსხვავებული მონაცემები, ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ დაფიქსირებული ამომრჩეველთა უჩვეულოდ დიდი აქტივობა განსაკუთრებით კენჭისყრის ბოლო საათებში;
- ცესკო არ იყენებდა ერთნაირ მეთოდს არჩევნების დღეს დამატებით სიებში შეყვანილი ამომრჩევლის ხმების დათვლისას, განსაკუთრებით კი, ბიულეტენის ბათილობის დადგენისას;

- საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა დონეზე და სასამართლოები ბოლომდე და ადეკვატურად არ იხილავდნენ და არ იძიებდნენ ბევრ საჩივარს, რომლებიც ხმის მიცემის პროცედურასთან, ხმებისა და არჩევნების შედეგების დათვლასთან დაკავშირებულ დარღვევებს შეეხებოდა.

პოლიტიკური გარემო

პოლიტიკური გარემო კვლავ პოლარიზებული იყო. არჩევნების დღის შემდეგ ოპოზიცია მასშტაბური დარღვევებისა და გაყალბების თაობაზე საუბრობდა, რომელსაც ადგილი, განსაკუთრებით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ჰქონდა. 8 იანვარს საერთო სახალხო მოძრაობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე მის მომხრეებთან ერთად ცესკოში შეიჭრა, რათა ცესკოს თავმჯდომარეს დაპირისპირებოდა. ისინი ძირითადად მოითხოვდნენ გამოაშკარავებული გაყალბებული შედეგების გაუქმებას, რასაც შედეგად შესაძლებელი იყო ბატონი სააკაშვილისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა 50 პროცენტს ქვემოთ ჩამოეყვანა და მეორე ტურის ჩატარება გამოეწვია. ამასთანავე, ბატონი გაჩეჩილაძე აცხადებდა, რომ არჩევნების შემდეგ ტელეკომპანიათა უმეტესობამ მას არ მისცა პირდაპირი ეთერი. ოპოზიციის აქტივისტებმა და მათმა მომხრე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცესკოსა და „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობებთან მიტინგი გამართეს.

13 იანვარს ცესკომ ხმების 53,5 პროცენტით მიხეილ სააკაშვილი გამარჯვებულად გამოაცხადა. აღნიშნულ ხმათა რაოდენობა საკმარისია იმისათვის, რომ არჩეულ იქნე პირველ ტურში, ბატონი გაჩეჩილაძის მიერ მიღებულ ხმათა 25,7 პროცენტის საპირისპიროდ. ყველა დანარჩენმა კანდიდატმა 10 პროცენტზე ნაკლები მიიღო. არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ, 13 იანვარს ოპოზიციამ მოაწყო დემონსტრაცია, რომელიც, მათი განცხადებით, გაგრძელდება.

ხმების დათვლა და არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 180 საუბნო საარჩევნო კომისიაში ხმების დათვლის პროცესსა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთა შედგენას დააკვირდა. ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვების შედეგად, 23 პროცენტი შეფასდა როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ მათ მიერ ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვებისას 8 პროცენტი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შესწორებაზე მოდიოდა. ხმების დათვლისას 21 პროცენტი კი - პროცედურულ შეცდომებსა და ხარვეზებზე. არჩევნების სადამკვირვებლო მისიის,

ადგილობრივი პოლიტიკური და არაპოლიტიკური დამკვირვებლების თანახმად, ბევრ ოქმში არ იყო შეტანილი აუცილებელი იფორმაცია, არ იყო დარტყმული ბეჭედი ან აკლდა ხელმოწერები. მონაცემები ხშირად არ იყო თანმიმდევრული. ცესკოს თანამშრომლებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას აცნობეს იმის თაობაზე, რომ 3 511 საუბნო საარჩევნო კომისიიდან დაახლოებით 940 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა მიერ მიცემულ ხმათა რაოდენობა არ შეესაბამებოდა ნამდვილი და ბათილი ხმების ჯამს.

ცესკომ შედეგების ოქმთა გამოქვეყნება თავის ვებ-გვერდზე არჩევნების მეორე დღეს დილით ადრე დაიწყო. ეს პოზიტიური ნაბიჯი იყო, თუმცა შედეგების გამოქვეყნება შემდეგ ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობდა. 9 იანვარს, 3 482 საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმთა საფუძველზე ცესკოს თავმჯდომარემ წინასწარი შედეგები გამოაცხადა.

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე ხმების დათვლის პროცესი შეაფასეს როგორც ნელი, არა სათანადოდ ორგანიზებული და ხშირად ქაოსური. ხმების დათვლისას ზოგიერთ საუბნო საარჩევნო კომისიაში ისინი დამაბული ატმოსფეროს არსებობაზე მიუთითებდნენ. იყო შემთხვევებიც, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიისთვის მიწოდებული ოქმები განსხვავდებოდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიწოდებული ოქმებისგან. მაგალითად, ბათუმის (# 11 და #73 საარჩევნო უბნები), ლენტეხისა (# 1 საარჩევნო უბანი) და დმანისის (# 30 საარჩევნო უბანი) საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მოწოდებულმა ოქმებმა ბატონი სააკაშვილის სასარგებლოდ მიცემულ ხმათა საგრძნობი ზრდა აჩვენა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა - ახალი ინიციატივის“ დამკვირვებლებმა აცნობეს OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას იმის თაობაზე, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებმა ხშირად არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა შეევსოთ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები. ნინოწმინდის #41 საოლქო საარჩევნო კომისიის ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები, რომლებიც OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ შეამოწმა, ერთი და იმავე პირის მიერ იყო შედგენილი. იყო შემთხვევები, როდესაც საოლქო საარჩევნო კომისიებმა შეასწორეს საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმები, რომლებიც დაიდო ცესკოს ვებ-გვერდზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავდაპირველი ოქმების გვერდიგვერდ და შეეხებოდა ნინოწმინდის #5, 22, 24 და 35 საუბნო საარჩევნო კომისიებს. ამ ქმედებას ადგილი ჰქონდა იმისდა მიუხედავად, რომ კანონი ცალსახად არ ითვალისწინებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის ოქმებში ცვლილებების შეტანას და საარჩევნო კოდექსის თანახმად საოლქო კომისიებს შეზღუდული როლი აქვთ ხმების დათვლისა და შეჯამების პროცესში.

ცესკომ გამოაცხადა, რომ კენჭისყრაში ამომრჩეველთა 56,19 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა. ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში ამომრჩეველთა მონაწილეობა საშუალოს გაცილებით აღემატებოდა. 23 საუბნო საარჩევნო უბანმა ამომრჩეველთა 100 პროცენტის აქტივობა დააფიქსირა¹, მაშინ, როდესაც სხვა 205 უბანმა აქტივობა 90 და 100 პროცენტს შორის აჩვენა.

საუბნო საარჩევნო კომისიათა დიდმა ნაწილმა უჩვეულოდ დიდი აქტივობა დააფიქსირა კენჭისყრის ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში. ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მონაცემების მიხედვით², 79 საარჩევნო უბანზე 500 ამომრჩეველზე მეტმა მისცა ხმა ბოლო სამი საათის განმავლობაში. მაგალითად, მარნეულში, #50 საარჩევნო უბანში - 866 ადამიანმა, #1 საარჩევნო უბანში კი, 657 ამომრჩეველმა. საგარეჯოში, #36 საარჩევნო უბანში 822 ამომრჩეველმა მისცა ხმა კენჭისყრის ბოლო სამი საათის განმავლობაში, ხოლო ახალქალაქში, #24 საარჩევნო უბანში - 879 ადამიანმა. ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებული ოქნების მიხედვით, 17 იანვრისთვის ასეთი უბნების რაოდენობამ 45 შეადგინა.

არჩევნების დღეს დამატებით სიებში დაახლოებით 85,000 ამომრჩეველი შეიტანეს. 930 საუბნო საარჩევნო კომისიამ დამატებით სიებში შეყვანილ პირთა ხმები თვითონ არ დაითვალა, რის უფლებასაც კანონი იძლევა, და ისინი ცესკოში გააგზავნა, რომელმაც მათი დათვლა 7 იანვარს გადაწყვიტა³. 8 იანვარს, ცესკოს წევრებთან და მისი თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა რამდენიმე ჯგუფმა ხმების დათვლა დაიწყო. ხმების დათვლა ქაოსურ გარემოში მიმდინარეობდა. დამთვლელი ჯგუფები არ იყენებდნენ ერთიან პროცედურებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ბიულეტენის ბათილობას შეეხებოდა.

იმავე კონტექსტში OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის რამდენიმე საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული ბიულეტენების დიდი რაოდენობა იდენტურად იყო შევსებული, რაც უკანონო ქმედების ჩადენის ეჭვს აღძრავდა. ასეთ შემთხვევებში, ერთის გარდა ყველა კანდიდატის ნომერი იყო შემოხაზული, ან კიდევ, იდენტურად, ერთის გარდა ყველა სახელი იყო

¹ ამ რიცხვში არ შედის 41 საარჩევნო უბანი, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიებმა შეცდომით შეიყვანეს კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველები ოქმის იმ გრაფაში, რაც სიებში არსებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისთვის არის განკუთვნილი.

² ამ ციფრში არ არის ასახული ის საარჩევნო უბნები, რომლებმაც, ცესკოს ინფორმაციით, ახლომდებარე სპეციალურ საარჩევნო უბნებში მიცემული ხმები დაითვალეს.

³ კანონის მიხედვით, საუბნო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილება დათვალს არჩევნების დღეს დამატებით სიებში შეყვანილი ამომრჩეველების ბიულეტენები, საარჩევნო უბნებში მიიღება კომისიის მიერ ხმების ორი მესამედით. ცესკოში დადგენილია იგივე პროცედურა.

გადახაზული. ასეთი ფაქტები დაფიქსირდა #6 საოლქო საარჩევნო კომისიაში (#54 და 56 საარჩევნო უბნები), #32 საოლქო საარჩევნო კომისია (#81 საარჩევნო უბანი), #60 საოლქო საარჩევნო კომისია (#41 საარჩევნო უბანი) და #61 საოლქო საარჩევნო კომისია (#16 საარჩევნო უბანი). რამდენიმე ასეთი ოქმი გაუქმდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეთი ოქმები არ მიიჩნეის ბათილად ცესკოს ახალი განკარგულების - "დამატებითი სიების მიხედვით მიცემული ხმების ცესკოში დათვლილი ბიულეტენების ბათილად ჩათვლის შესახებ" - საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა კენჭისყრის დღის შემდგომ, 10 იანვარს. აღნიშნული განკარგულება უფრო თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა ბიულეტენის ბათილობის დადგენასთან მიმართებაში, ვიდრე საარჩევნო კოდექსი.

ზოგიერთმა საუბნო საარჩევნო კომისიამ არ გააგზავნა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები ბიულეტენებთან ერთად, როგორც ამას კანონი⁴ ითხოვს, თუმცა ბიულეტენები მაინც იქნა დათვლილი. 11 იანვარს ცესკომ დაამტკიცა ოქმი დამატებითი სიების მიხედვით მიცემული ხმების შესახებ. ცესკომ შეადგინა მხოლოდ ერთი ზოგადი ოქმი ყველა იმ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის, რომლებმაც გააგზავნეს არჩევნების დღეს დამატებითი სიებით მიცემული ხმების ბიულეტენები, და რომლებშიდაც არ იყო მოცემული დეტალური ინფორმაცია თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიის შესახებ და თან ერთვოდა ცხრილი საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების შესახებ. ოქმს ხელი ცესკოს 13 წევრიდან მხოლოდ შვიდმა მოაწერა.

10 იანვარს საერთო სახალხო მოძრაობამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათმა წევრებმა ნაგავში, თბილისის გარეუბანში, იპოვეს დალუქული კონვერტები, რომლებშიც დამატებით სიებში შეყვანილ ამომრჩეველთა ბიულეტენები იდო. 12 იანვარს საერთო სახალხო მოძრაობის წარმომადგენელმა აღნიშნული კონვერტები ცესკოს სხდომაზე წარადგინა, მაგრამ ცესკოს თავმჯდომარემ უარი განაცხადა მათ მიღებაზე იმ მიზეზით, რომ ბიულეტენი არის სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც მპოვნელმა უნდა გადასცეს პოლიციას, რათა მან სისხლის სამართლის საქმე აღძრას.

13 იანვარს ცესკომ დაამტკიცა არჩევნების საბოლოო შედეგები. ოპოზიციის მიერ დანიშნული ცესკოს წევრები ამტკიცებდნენ, რომ იყო ბევრი დარღვევა და საჩივარი, რომელიც ცესკომ არ განიხილა და რომ შედეგები შესაძლებელია არ დამტკიცდეს. შვიდმა წევრმა საბოლოო შედეგების მიღებას დაუჭირა მხარი, ექვსმა ოპოზიციის მიერ დანიშნულმა წევრმა კი, წინააღმდეგ მისცა ხმა.

საჩივრები და გასაჩივრება

⁴ საქართველოს საარჩევნო კოდექსი 129⁷

საარჩევნო ადმინისტრაცია ყველა დონეზე და სასამართლოები ბოლომდე და ადეკვატურად არ იხილავდნენ და არ იძიებდნენ ბევრ საჩივარს, რომლებიც ხმის მიცემისას, ხმებისა და არჩევნების შედეგების დათვლასთან დაკავშირებულ აღმოჩენილ დარღვევებს შეეხებოდა. ზოგიერთი საჩივარი შეიცავდა სერიოზულ ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილი ჰქონდა ხმის მრავალჯერადად მიცემას, ბიულეტენების ჩაყრასა და ოქმების შესწორებას. საჩივრებში ბევრი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმების ბათილად გამოცხადებას მოითხოვდნენ. ამ საჩივართა დიდი ნაწილი ოპოზიციურმა პარტიებმა და ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიტანეს, მმართველი პარტიის მიერ კი, არც ერთი საჩივარი არ შესულა. ამკარად ჰქონდა ადგილი საჩივრების საფუძლიანად განხილვის თავიდან არიდებას. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ მიიღო ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები, ადგილობრივი ადმინისტრაცია და სასამართლოები არ უქმნიდნენ დამკვირვებლებსა და ოპოზიციის მხარდამჭერებს იმის მოტივაციას, რომ შეეტანათ საჩივრები ან კიდევ აქეზებდნენ მათ ისინი უკან გამოეტანათ.

საუბნო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით ათასი საჩივარი შევიდა, იყო შემთხვევები, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიებმა საჩივრები რეგისტრაციაში არ გაატარეს. საოლქო საარჩევნო კომისიებმა მიიღეს ასობით საჩივარი (მათაც უარი განაცხადეს რამდენიმე მათგანის რეგისტრაციაში გატარებაზე), რომელთაგან თითქმის არც ერთი არ დაკმაყოფილდა მათში არსებული ტექნიკური შეცდომების არსებობის ან კიდევ, კანონიერი საფუძვლის არქონის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიები თვითნებურად იყენებდნენ დაშვების მოთხოვნებს და არ აძლევდნენ მოსაჩივრებს საშუალებას გაესწორებინათ ტექნიკური პრობლემები, არ მიყვებოდნენ სათანადო პროცესს საჩივრების განხილვისას და ადეკვატურად არ იძიებდნენ საჩივრებს.

ცესკოში ცოტა საჩივარი შევიდა. რამდენიმე მათგანში საუბარი იყო სერიოზულ ბრალდებებზე. ცესკომ არ დააკმაყოფილა ან, განსახილველად არ მიიღო საჩივრების უმეტესობა⁵. გარდა ამისა, ცესკოს საჩივრები სათანადოდ არც განუხილავს და არც საფუძვლიანი სამართლებრივი დასკვნა წარმოუდგენია. ცესკომ არასწორად თქვა უარი ზოგიერთი საჩივრის განხილვაზე, რომლებშიც მოითხოვდნენ ოქმების ბათილად გამოცხადებას, იმ საფუძვლით, რომ მხოლოდ სასამართლოებს ჰქონდათ ამის უფლება⁶. ცესკოს თავმჯდომარემ

⁵ ოფიციალური წყაროდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 6 საჩივარი განხილულ იქნა და გასაჩივრებული საარჩევნო უბნების შედეგები გაუქმდა.

⁶ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 29-ე მუხლის (1,5) მიხედვით, “საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით აუქმებს ან ცვლის მათ...”

არასწორად განაცხადა, რომ ცესკოს არ ჰქონდა გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება. მან ერთხელ უარიც კი განაცხადა ოფიციალური ვიდეოჩანაწერის განხილვაზე, რომელშიც ნაჩვენებია იყო საუბნო საარჩევნო კომისიაში მომხდარი ინციდენტი, განაცხადა რა, რომ ცესკოს არ ჰქონდა ამის უფლებამოსილება. თუმცა, 17 იანვარს ცესკომ განაცხადა, რომ დაინტერესებულ მხარეს საშუალება მიეცემა იხილოს საარჩევნო უბნებზე გაკეთებული კენჭისყრის დღის ვიდეოჩანაწერები წერილობითი განცხადების შემდეგ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჩივრის შეტანის ვადების ამოწურვის შემდეგ.

საქალაქო სასამართლოებში შევიდა 50-ზე მეტი საჩივარი, რომელთა უმეტესობა არ იქნა მიღებული მათში არსებული ტექნიკური ხარვეზების გამო. თორმეტი საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი ბათილად გამოცხადდა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია ინფორმირებულია ბევრი სისხლის სამართლის საქმის თაობაზე, რომელიც არჩევნების დღეს მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით აღიძრა.

15 იანვარს რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში, ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოში, საჩივრების შეტანის ვადა ამოიწურა. 15 იანვარს სამი საპრეზიდენტო კანდიდატის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში ცესკოს მიერ გამოცხადებული კენჭისყრის საბოლოო შედეგების თაობაზე ოთხი საჩივარი შევიდა (არკადი პატარკაციშვილი – დამოუკიდებელი კანდიდატი, შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია, ლევან გაჩეჩილაძე – პოლიტიკური მოძრაობა თავისუფლება) და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მხრიდან. 16 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლომ კიდევ ერთი საჩივარი მიიღო დავით გამყრელიძე-ახალი მემარჯვენეების პარტიის მხრიდან, თუმცა საჩივრების მიღების ვადა უკვე ამოწურული იყო. ხუთივე საჩივარი არჩევნების შედეგების გაუქმებას შეეხებოდა იმ დარღვევებზე მითითებით, რომლებიც, მოსარჩელე მხარეების რწმენით, კენჭისყრის დღეს მოხდა. თუმცა არც ერთი საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. 18 იანვარს სამმა კანდიდატმა სარჩელი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. არჩევნებთან დაკავშირებულ შემთხვევებში სააპელაციო სასამართლო გასაჩივრების ბოლო ინსტანციაა. საბოლოო გადაწყვეტილება გამოცხადდება 20 იანვარს.

არჩევნების დღის შემდეგ საქალაქო და რაიონული სასამართლოების 30-მდე გადაწყვეტილება, რომელთა მიხედვით მოსარჩელეს უარი ეთქვა საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების ოქმების გაბათილებაზე, გასაჩივრდა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში. ეს საჩივრები ან არ დაკმაყოფილდა, ან მოსარჩელეს უარი ეთქვა განხილვაზე.